საიდ. №78613/03

IR 1214389

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №149-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), მ. ჭიჭინაძე, ქ. კილაძე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ” პუნქტისა და 2016 წლის 13 იანვრის №ა-14 წერილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანიის „ფალკე აგ“ (FALKE AG) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №149-03/15), რომლითაც მოითხოვება „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 03 აგვისტოს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №2432/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „BURLINGTON THE ORIGINAL” (საიდ. №78613/03, IR 1214389) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-3, მე-14, მე-18 და 25-ე კლასი).

„საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 03 აგვისტოს №2432/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „**BURLINGTON THE ORIGINAL**" არ ექვემდებარება რეგისტრაციას, ვინაიდან მსგავსია კომპანიის "Burlington Fashion GmbH" (მისამართი: Oststraße 5, 57392 Schmallenberg) სახელზე 25-ე კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის საქპატენტში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „BURLINGTON' (რეგ. N17347, რეგისტრაციის თარიღი: 15/03/2007) და ამავე კომპანიის სახელზე მე-3, მე-14, მე-18 და 25-ე კლასების საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის საქართველოში დაცული და გავრცელებული სასაქონლო ნიშნებისა:

„BURLINGTON" (IR 982020, რეგისტრაციისა და გავრცელების თარიღი: 19/08/2008);
„Burlington" (IR 982021, რეგისტრაციისა და გავრცელების თარიღი: 19/08/2008);
„Burlington" (IR 1017273, რეგისტრაციისა და გავრცელების თარიღი: 08/09/2009);
„Burlington" (IR 1188816, რეგისტრაციისა და გავრცელების თარიღი: 23/07/2013);
და იდენტურია იგივე კომპანიის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „BURLINGTON THE ORIGINAL" (IR 1007952, რეგისტრაციისა და გავრცელების თარიღი: 02/04/2009). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით და მათში შემავალ მთავარ სიტყვიერ ელემენტს წარმოადგენს ასოთა კომბინაცია - „Burlington". ნიშნების ვიზუალური მხარე და ჟღერადობა აღრევამდე მსგავსია, შესაბამისად არსებობს მომხმარებლის მიერ მათი აღრევისა და შესაბამისად, შეცდომაში შეყვანის ალბათობა. სასაქონლო ნიშნის განსხვავებული ნაწილი „THE ORIGINAL" არ ანიჭებს ნიშნებს საკმარის განმასხვავებელობას, ვინაიდან ნიშანში დომინანტ ელემენტს წარმოადგენს სიტყვა - „BURLINGTON". აღნიშნულის გამო, განცხადებულ

ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" და „ბ" ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვლისათვის.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები მიეკუთვნებიან ერთი და იგივე სამეწარმეო ჯგუფს „ფალკე გრუპ" (FALKE GROUP). აღნიშნულის დასტურად, სააპელაციო საჩივარს თან ერთვის დაპირისპირებული ნიშნების მფლობელი კომპანიის მიერ გაცემული თანხმობის წერილი.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო საჩივარზე თანდართული, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიის „ბურლინგტონ ფეშენ გმბჰ" (Burlington Fashion GmbH) მიერ გაცემული თანხმობის წერილის თანახმად, დაპირისპირებული ნიშნების მფლობელი კომპანია თანახმაა განცხადებული სასაქონლო ნიშნის აპელანტი კომპანიის სახელზე დაცვასა და გამოყენებაზე საქართველოში მე-3, მე-14, მე-18 და 25-ე კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვლისათვის. ამავე თანხმობის წერილში ასევე, აღნიშნულია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანია „ბურლინგტონ ფეშენ გმბჰ" (Burlington Fashion GmbH) და აპელანტი კომპანია „ფალკე აგ" (FALKE AG) წარმოადგენენ აფილირებულ კომპანიებს და მიეკუთვნებიან ერთი და იგივე კომპანიათა ჯგუფს - „ფალკე გრუპ" (FALKE GROUP).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ეკუთვნის აფილირებულ კომპანიებს, ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გარემოებებს, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის იდენტურია, ხოლო საქონელი – იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა" ან თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ფალკე აგ" (FALKE AG) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 03 აგვისტოს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" №2432/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „BURLINGTON THE ORIGINAL" (საიდ. №78613/03, IR 1214398) მიენიჭოს დაცვა საქართველში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: მ. ჭიჭინაძე

ქ. კილაძე